



XXXVI

ეროვნული
კომუნისტური
პარტია

წითელი დროშა ღალატ ვაშლიდა,
ცაში ვინ დახვდის წითელ ვარსკვლავებს.
ოცდათექვსმეტი წელი ბრწყინვალე
აუმართათ მადლა მძღავრ მკლავებს.



ს ი ა ს ბ ი

№ 21 თბილისი ნომბერი 1953 წ. გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXXI. ფასი 2 მან

მხარაძისა და ნ. მაღაზონიასი

საქართველო





ამერიკულ სენსაციას

სენსაციითა და საოცარი ამბების ტენიით გატაცებულ ამერიკელთა კორესპონდენტები წილებზე ფესს იღებენ ოლენდ მიზანს მიალენონ.— მიზანს მილენენ, ან შირად ტრაჯიკომიკური დასასრულით გვირგვინდება ერთივედ ნენიპოლისში ხანძარი განდა, ჩანშივრება სახლი და ნან გრევეტევემ (კოლხლად დამიარხნენ მომინადღენი, ფოტოტორეოტორტორი პოლ პ.), დენსწრო რა შემოდევით ამ საწინებუბას, არ მორილად სდფრთხეს, თავი გასწირა და აღმოდგნულ ნანტრევეტეში შევირა... მისი ყურადღებმა დაკრილი ქალიშვილის ცენსამ მიპირა, იგი შეიღას მოითხოვდა. ფოტოტორეოტორტორის სასწრაფოდ აპარტო მოიმარჯუა, დაახაკუნა და იმავე წამში რედექციისაკენ გაფინდა. ორიოდე საათის შემდეგ სრითი უკვე გაზეთის პირველ გვერდს ამშვენებდა, როგორც მეოთხე დღეს გაზეთი აღნიშნავდა, პოლ პ. მიხოლოდ ბოლისს წერილი გაუგზავნა სადაცდმოყოფოში სულთიმობიკე ქალიშვილს: «მამატრეტი, ქალიშვილო, რომ გასაქოროში ვერ მოგეშველეთ, მე ჩემი ხელობა და სენსაციამოკაონახებუდა ასე მიგეძღვეთლავა!»

მეორე, მარჯვე კორესპონდენტი დღედას პ. ლათინრია აპერიის მიერში ოთ პირველყოფილ ადამიანს წააწყდა, რომელნიც სრულად არ იცნობდნენ თანამედროვე ქვეყანას. დღედასმა ისინი სასწრაფოდ შეერბებულ შტატებში ჩაპოყენა და საჯაროდ აჩვენებდა. სენსაციამ პირველ ხანში რეპორტორის დიდი მოგება მისცა, შემდეგ კი ველურებისდამინტერესმა იკლო, და დღედასსავ თავი მოაბეზრა მათმა პოვლამ მან აღარ იცოდა როგორ მოემორინებინათ თავიდან ეს ერთ დროს მომებებანი «კეზემლარებში»... უღლებები კი ამერიკული ყოფილებოვრების ვაგონით ისე აღიარებდნენ, რომ აფრაცხელ ვისკის ლიჭორის და სხვა მაგია სასწაულს სთქავენდნენ... ტეხლენდ დემოზს და ამტრედედენენ სკაენებს...

ბოლისს და ბოლისს კორესპონდენტებს ნახა ერთადერთი განთავსილი: ხსენა თავისი ველურები თვითმფრინებში და პარამუტით გადმოიქრონ ისინი ციდან ისე ლათინრია აპერიკამში, დახსლოებით იმ მიდომებში, სადაც პირველად შევეჩარა შათ.

წმელი წარმოსადგენია ციდან უზუკო-უკვლოდ გადმოსროლილი ველურების ტრედეგული მდგომარეობა. ამერიკელმა კორესპონდენტებმა კი თავისი სენსაცია აბალო სენსაციით დაამთავრა.

შინდობარინი



ნახ. ა. კანდელაკისა

ახლანაჲ კი არა, ჳერ კიდევ ოცდათექვსმეტი წლის წინაჲ.

ნახ. ა. ფირცხალაგისი



თავის წვრილია დგებებით ეგას მამაყენინა ბაქია, თოფუ-იარაღის ჩხარწინთ ორღის არ უტრბახავი!

სახე თუმც ონდავ იცვლია, არ შეუცვლია გუნება.— ისევე მშვიდობისმოყვარე მშრომელ კაცს ედივლებუბა...


ახლა კი არა, ჳერ კიდევ ოცდათექვსმეტი წლის წინათ, — სადმე რომ დაეინახავდი მეც არ მყოფნიდა სიცილია!



ამ ქაღს რომ ერთხელ შეუხვდით კისერი გაგომუშებავთ, — თითები გადაქცევა ილი-მარგალიტის ბეჭებებით!

ზის უსხოეთში უტბატო, ყმავე აღარა ჳყას მნივლი, და შეჭკნობითა სამეფო შტოს ერთი შთამომავალი!

ახლა კი არა, ჳერ კიდევ ოცდათექვსმეტი წლის წინათ, — სადმე რომ დაეინახავდი მეც არ მყოფნიდა სიცილია!



მუდამ დარჩება ამ ჩარჩის სურჩილი მოსაგონარაგ, — მას უნდა მთელი ქვეყანა იყოსი სტერინგე ღლიარგ!

თავისკენსადივებული ეგას, თითქოს სტერინგე ყბაყურა, ხალხის უბნით ზიზღი და დენციდე დაიმსახურა...

ახლა კი არა, ჳერ კიდევ ოცდათექვსმეტი წლის წინათ, — სადმე რომ დაეინახავდი მეც არ მყოფნიდა სიცილია!



მინაზე იცნა ბობოლა და მთელი მინის ბარაკა უთნ გროს გლეზური სისხარბით თავისთვის მოიმარაგა.

მინა კი სოფლს ეკუფენის, სოფელი როგორ მიცემდა!.. და, რა თქმა უნდა, ასეთ კაცს მინა თეთი დაამინებდა...

ახლა კი არა, ჳერ კიდევ ოცდათექვსმეტი წლის წინათ, — სადმე რომ დაეინახავდი მეც არ მყოფნიდა სიცილია!

ნაწილი კალენდარი 1917 წლისათვის



ამერიკელი ხავაროდ მთლის, — აწუხებოლი აქვს ავტოს აღღვრი. თურქეთის ექსპორტს გზა რომ არ მისცეს, არც საწუენია, არც განავცირი, და ვინა თუმცე ხეცავაძიობა, ვნახოთ აქ მანვე რას იტყვის ვინა.

ქვეყნოებრივი მუსიკა

წელს ჩვენი სოფელი განსაკუთრებით ემზადებოდა ოქტომბრის დღესასწაულის შესახებდრად. ასე ვიცოდით, კეთილმოწყობილობით რაიონულ ცენტრსაც კი ვეჯობებოდით. სადღესასწაულოდ კულტურის სახლის ახალი შენობა უნდა გაგვეხსნა, დიდი, ლამაზად მოწყობილი.

ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ერთ გაწამაწიში იყო. სექტემბრის დასასრულს სასულე ორკესტრის ინსტრუმენტები ჩამოიტანა. ახალგაზრდები სასწრაფოდ გამოგვიძახა და დავალემა მოგვცა დაკვრითი წესით ამ ინსტრუმენტებზე დაკვრა გვესწავლა. აბა, კულტსახლი უორკესტროთ ვის გაუგონია!..

რაიონის ცენტრიდან მუსიკის მასწავლებელი გამოგვიგზავნეს. კარგი კაცი იყო, მაგრამ ღვინო სულს ერჩია. ხვავიან შემოდგომაზე ღვინოს ვინ დაუჟავებდა სტუმარს. ესეც არაფერი. უბედურება ის იყო, რომ ჩვენი მაესტრო როგორც კი დაღვედა, ტვინიც დაეღუოდა საცოდავს და ისე აირეოდა, ზოგს ალთას გვაკვრევინებდა, ზოგს ბალთას. ერთ კვირაში მხოლოდ სულის ჩაბერვა გვასწავლა.

რა უნდა გვექნა. ერთი უკანასკნელი ქეიფი მოგუწყვეთ ჩვენს მაესტროს და სასულე ორკესტრის ისეთი დაკვრით გავაცილებთ, რომ იმ დღეს, მთელს სოფელში ერთი ყვავიც არ დარჩენილა, გულგახეთქილი ცხრა მთას იქით არ გადაკარგულიყო.

დღეები მიდიოდა. სასოწარკვეთილებით არ ვიცოდით რა გვექნა. მაგრამ ერთ დღეს თბილისიდან ახალი მაესტრო ჩამოგვივიდა.

პირველად იგი ჩვენს ორკესტრში რომ შემოვიდა და გაგვეცინო, ბიჭებმა გაკვირვებისაგან ვალტორნებივით პირები დავაღეთ. ჩვენს წინაშე ქერაკულულებიანი, ტანწერწერა, ლამაზი სახის, შესანიშნავი ქალიშვილი იდგა.

არ ვიცო, ეს მისი ნებისყოფა იყო ასეთი ძლიერი, თუ მისმა თავლისფერი თვალების სითბომ იმოქმედა. ეს კია, ჩვენი ორკესტრი ათიოდე რეპეტიციის შემდეგ ისე აგუგუნდა, რომ ჩვენს მოსამენად საღამომობით მთელი სოფელი მოიყრიდა ხოლმე თავს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხომ სიხარულისაგან ადგილზე ვერ ჩერდებოდა. ეს მუდამ აუჩქარებელი და დინჯი კაცი სიხარულისაგან ბავშვივით ცქმუტავდა.

ორკესტრში სულ დარჩეული ბიჭები ვიყავით. ოც-ოცდახუთჯერ შემოდგომის მომწრენი. გული საგულეს არ გვეტეოდა. აქ კიდევ უცხო ქალიშვილი გამოჩნდა და გასაგებია, თუ როგორ იმოქმედებდა ქერაკულულებიანი მაესტრო ჩვენს ოცნებებზე..

ძალზე გვაინტერესებდა მისი ამბავის გაგება, რითი ცხოვრობდა, რითი სუნთქავდა?.. რამ აიძულა ჩვენთან სოფელში ჩამოსულიყო?..

ბოლოს, ჩვენი კოლმეურნეობის მოანგარიშემ სარწმუნო წყაროებიდან ყველაფერი გაიგო. ტყუილად კი არ ვეძახდით ყოვლისმცოდნე ჯადოქარს.

ჩვენს მაესტროს თურმე წელს დემთავრებინა სადირიჟორო და სამუშაოდ სოფლად გამოგზავრებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი მახლობლები ამ ნაბიჯის წინააღმდეგ წასულან. მოანგარიშემ საიდუმლოდ გაგვანდო, ამის თაობაზე საქმროც კი წაიციდებოდა ქალიშვილს.

ამ ამბავის გაგებაზე ათჯერ მეტად ასწია ჩვენს თვალში ჩვენი მაესტრო. ის კი ისე გვექცეოდა, თითქოს მის წინ ინსტრუმენტები ვმდგარიყავით, რომლებთანაც მხოლოდ ან სწორი, ან ყალბი მუსიკალური ხმების მიღება-და შეიძლებოდა.

მაგრამ ამ გარეგნულ სიმშვიდეში ყველა ამჩნევდა, რომ ჩვენი მაესტრო ცოტაცობით უპირატესობას მე მანიჭებდა. სხვებს ჩახველების უფლებასაც თუ არ აძლევდა, ჩემგან შეკამათებასაც იტანდა. ერთი ვერ გავიგე, იმიტომ მარჩევდა, რომ მუსიკის ნიჭი მომყვებოდა, თუ... მაგრამ ამაზე ფიქრიც კი მიულწეველი ოცნების ბურანში მხვევდა.

ეს ეჭვი ყველაზე მეტად მაშინ ვაღვივდა, როდესაც ჩვენმა მაესტრომ ჩემში სასიმღერო ხმა აღმოაჩინა. ამის გამო ორკესტრის მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მარტონი ვრჩებოდით და იგი დაუზარებლად მასწავლიდა სასიმღერო ხელოვნების ანა-ბანას.

ერთხელ, საღამოთი, შინისაკენ რომ მივდიოდით, მან თავისი გული გადამიშალა. სოფლად იმისათვის წამოსულიყო, სურდა ურ-

წმუნო ამხანაგები დაერწმუნებინა, რომ ნამდვილი, ხალასი ხელოვნება ხალხის გულში უნდა ეძიო და არა პროსპექტებზე. რომ აქ, თავისი მუშაობით მას სურდა ახალი სიტყვა ეთქვა ჯერ უთქმელი და ამ სიტყვის თქმაში იგი მთავარ იმედს ჩემზე ამყარებდა. მისი აზრით, ჩემი ხმა ისეთი ტემბრისა იყო, რომ სათანადო დამუშავების შემდეგ ის შესანიშნავად აქლერდებოდა... მე სხვა რამესაც მეტყოდა მეგონა, მაგრამ სჩანდა, გულის ერთ კუნძულს ფარდა არ ჩამაშორა და იგი კვლავ დახურულში დასტოვა.

მე კი რაც დღე გადიოდა, სიყვარული უფრო მიღვივდებოდა საოცარი იყო, დღეს ქარაგმული საუბრით ბედნიერების მწვერვალზე ამტყორცინდა, ხვალ შეეშინდებოდა და ძირს ისე დამანარცხებდა, ტვივლებისაგან გული მეკუმშებოდა. ზოგჯერ ჩემს თვალებს სიყვარულით აღსავსე თვალეებს შეაგებებდა, ზოგჯერ კი დღე ისე გავიდიოდა, ერთ თბილ სიტყვასაც არ მეტყოდა. როგორც ჩანდა, მის გულში დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა. ყველაფერზე ვსაუბრობდით. მაგრამ თითქოს წინასწარ შეთანხმებული ვყოფილიყავით, მის საქმროს შესახებ არც ერთი ხმას არ ვიღებდით.

საქმე კი თავისი გზით მიდიოდა. ჩვენმა მაესტრომ ზემისათვის ისეთი საკონცერტო განყოფილება მოამზადა, ისე გუგუნებდა ჩვენი ორკესტრი, ისე მღეროდა ჩვენი გუნდი, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გენერალურ რეპეტიციაზე საცეკვაო სიმღერის დროს ალტაცებისაგან სცენაზე ბუქნა ჩამოუარა.

ოთხ ნოემბერს ჩვენმა მაესტრომ დეპეშა მიიღო თბილისიდან. მისი ტოლები ჩამოდიოდნენ ზემზე დასასწრებლად. ხუთ ნოემბერს ცალკე დეპეშა მოვიდა, ვილაც ირაკლი აწერდა ხელს და იუწყებოდა, რომ ზემზე ისიც იქნებოდა. ის დეპეშა მე გადავეცი მაესტროს წაკითხვისთანავე სახე აელეწა, ხოლო მე რა დამემართებოდა, ეს უსიტყვოდ გასაგებია. დეპეშა ხელმეორედ წაიკითხა, უცებ დაქმუქნა, მე შემომხედა, თვალი თვალს გამისწორა, დიდხანს პიყურა დაჯინებთ, თითქოს ჩემ გულისნადებს კითხულობსო, შემდეგ ისე გამიღიმა, ისეთი სიყვარულით, როგორც არასოდეს გაულიმიო.

— ყველაზე მეტად მე შენი იმედი მაქვს. — მითხრა ტკბილი ხმით. — ვალში არც მე ჩამოგრჩები... — და პირველად გაცნობის დღიდან როდი დამიშალა გულლიად ჩემი მისდამი უსახლგრო სიყვარულის შესახებ მელაპარაკანა. მის ბინას რომ მივუახლოვდით, დავინახე მისი ფიქრები შორს წასულიყო და. ალბათ, ჩემთვის უფრო სრულიადაც არ ეგდო.

ექვს ნოემბერს დიდი ზეივით გავხსენით ჩვენი კულტურის სახლი. საიდან არ ჩამოვიდნენ სტუმრები. მათ შორის ჩვენი მაესტროს მეგობრები გამოირჩეოდნენ, რომლებიც ყველაფერს კრიტიკული თვლით ზომავდნენ. ბევრი ვეცადე გამომერკვია, მათ შორის ვინ აუო ირაკლი, მაგრამ ვერაფერს გავხედი. მაესტრო მარტოკა არავისთან რჩებოდა.

კულტსახლის მორთულობამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა სტუმრებზე, ხოლო კონცერტმა ყველანი ალტაცებაში მოიყვანა. ყველაზე ბოლოს ჩვენმა მაესტრომ მე გამომიყვანა. თითქოს ფრთები შემესხაო, ისე ვიმღერე, როგორც არასოდეს მიმღერია. გულანთებული ვმღეროდი სიყვარულზე, სიხარულზე, ბედნიერებაზე..

კონცერტის დამთავრების შემდეგ სტუმრები სცენაზე ამოვიდნენ. გაოცებულნი იყვნენ ჩვენი მიღწევებით. ასეთ კონცერტს დედაქალაქიც არ დაიწუნებდა. ჩვენმა მაესტრომ თავის ტოლ-მეგობრებთან წარმადგინა და ჩემი თავი გააცნო. ყველაზე ბოლოს შევეგვრე-მანი ვაჭი მოვიდა და გარკვევით გავიგონე ჩვენმა მაესტრომ მას დაბალი ხმით რომ მიმართა:

— ირაკლი, ეს ჩემი ახალი მეგობარია, რომლის შესახებაც ამას წინათ გწერდი....

შავგვრემანმა ვაჭმა თვალი თვალში გამიყარა, გაწვილი ხელი არ ჩამომართო, უცებ მობრუნდა და ჩქარი ნაბიჯით სცენიდან გავიდა.

ჩემი ქერაკულულებიანი მაესტრო მომიახლოვდა, მხრებზე მსუბუქად ხელი შემახო და ალერსით მითხრა:

— წავიდეთ!
და ჩვენ წავიდეთ ერთად ბედნიერებისაკენ...

გივი გოგიჩაიშვილი

უცნაური ზუთხის ამბავი



სტრიაპჩი* ხარიტონ მელაძემ თავისი მოქნილი ენითა და მოხერხებით ყველა გავლენიანი პირი დაიმეგობრა და სასამართლოებში ყველა საქმეებს თავის სასარგებლოდ წყვეტდა.

190. წელს იმ არემარეს ახალი მახარის უფროსი მოველინა. მასთან დაახლოება ხარიტონისთვის აუცილებელი იყო, მაგრამ ამის შემთხვევა არ მიეცა და უმიზეზოდ მისვლა კი ვერ გაბედა ერთ სიცხიან დღეს ხარიტონი მეგობრებითა და ვაჟიშვილებით სათევზაოდ გაემართა, დიდი გარჯა არ დასჭირდა. მეორედ რომ ისროლა ბადე, მას არაჩვეულებრივი თევზი ამოყვა.

— ორაგულია!

— არა, კაცო, ორაგული კი არა რაღაც სასწაული თევზია.

— ბიჭო არ ახტეს ზევით და თავები არ დაგვწყვიტოს.

— დაგვწყვიტოს თუ არა დიდი ბურჯი გამოაკლდება საქართველოს. — იოხუნჯა ვილაცამ.

— მოიცათ, ნუ ლაზღანდარობთ, — შეუტია ხარიტონმა და უფრო დაიხარა თევზის კარგად დასათვალისწინებლად. მას აზრი დაებადა თევზი მახარის უფროსის გასაცნობად გამოეყენებია.

ფიქრი და შესრულება ერთი იყო. ცოტა ხნის შემდეგ ხარიტონის „პატიმარი“ მახარის უფროსის რეზიდენციას მიაღწა.

— ამას რას ეხედავ! — იყვირა მახარის უფროსმა, — წყნარი ოკეანის ზუთხი! შე იხტიოლოგი ვარ, უდიდესი იხტიოლოგი... მთელს იმპერიაში და ასეთ მშვენიერ თევზს პირველად ეხედავ! — აღფრთოვანებული მახარის უფროსი ვერ მიძვდარიყო, თუ როგორ მოხვდა ეს თევზი ამ მიდამოებში...

ხარიტონის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ეს ნეტარება დიდი ხანი არ გაგრძელებულა...

როდესაც მახარის უფროსმა ლაპარაკით გული იჯერა, გული მოუვიდა რატომ თევზი წყლიან კასრში არ ჩასვეს და ცოცხალი არ მოუყვანეს და პატივისცემა ლანძღვა-გინებით გადაუხადა... ასე გასინჯეთ წონასწორობიდან გამოსულმა ხარიტონზე საცემრადაც კი ვიიწია...

ამის შემდეგ, ყველა ახალი მახარის უფროსის დანიშვნისას ხალხი კითხულობდა „ეგეც იხტიოლოგი ხომ არ არისო?“

გავიდა წლები. დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ იმპერიის ასეთი იხტიოლოგები არკივს მიაბარა... დროება შეიცვალა. ქართველი ხალხი დიდი ხანია

*სტრიაპჩი — მეფის რუსეთის სასამართლოს შიხელე, ვეჭილის როლს ასრულებდა.



აკრძალულია რობინ ჰუდის კითხვა. ხხენება, რადგან თვით ბანკი ამერიკელ ბანკირს აშინებს. თავისი თავის დასაღუპად ინგლისელებმა ამით ხელახლა ამერიკა აღმოაჩინეს!

განთავისუფლდა სტრიაპჩიებიდან და კირვეული მახარის უფროსებიდან. ხარიტონი ღრმა მოხუცია. მისი ერთი შვილიშვილი თევზის ჯიშების საკვლევოსამეცნიერო ინსტიტუტში მუშაობს. ერთხელ იგი ხარიტონს ესტუმრა და საჩუქრად თავისი ახლად გამოყვანილი ჯიშის თევზი მიართვა.

როდესაც ხარიტონმა საჩუქარს დახედა მისდა უნებურად წამოიძახა:

— მშვენიერი თევზია, წყნარი ოკეანის ზუთხია ნამდვილად!!!

— არა, ბაბუ, — გაუსწორა შვილიშვილმა, — ეს ქართული ჯიშის ახალი თევზია, რომელიც შენს მიერ დასახელებული თევზისა და ჩვენებური ორაგულის ჰიბრიდს წარმოადგენს. ძველ დროში მისი შთამომავალი თითო-ორჯერ თუ

მოხვდებოდა ჩვენს წყლებში. იგი წყნარი ოკეანიდან რამდენიმე ზღვის და სრუტის გამოვლით შემთხვევით შემოდოდა შავ ზღვაში, ძალიან იშვიათად როინსაც ამოყვებოდა. ახლა ეს თევზი პრაქტულ წყალსაცავში შენდება და დიდი სამრეწველო გამოყენება აქვს.

ხარიტონმა დარცხვენით მაგრამ მაინც დაწვრილებით უამბო შვილიშვილს მახარის უფროსის და უჩვეულო თევზის თავგადასავალი. ბევრი იცინეს.

შვილიშვილმა პირობა მისცა ხარიტონს, რომ მის საიდუმლოებას არ გასცემდა.

ეს ამბავი მან მხოლოდ მე გამანდო, მე კი საიდუმლოს შენახვის თავი არა მაქვს.

ნახ. გ. ფირცხალავასი



ტ. 53 გ.

— რას შვრებით, მოქალაქევ, თქვენ ხომ თვითონ ტყის მეგობარს ხართ?

— მაშ რის მეგობარია, თუ გაქირვებაში არ გამომადგა... ღვინოს რომ დავღვევ, ვაზივით ვიგრიხები, ხეს მინდა მივეხუტა მალღარივით...

საპნის ქარხნის დირექტორის „მოსკვირი“

ყველა ადამიანს აქვს თავისი სურვილი, თავისი ოცნება. დირექტორსაც ხომ უნდა ჰქონდეს ოცნება. რომელიმე ჩამორჩენილი საწარმოს დირექტორს ასულდგმულებს, ვთქვათ, ოცნება გვემის შესრულებაზე...

თავისი ოცნება აქვს ი. ბაქრაძესაც. რა ვუყოთ, რომ იგი თბილისის უსინათლოთა საზოგადოების ზეთსახდელი და საპნის სახარში ქარხნის დირექტორია. დირექტორი მაინც დირექტორია.

განა ამდენი აღარ იცის ი. ბაქრაძემ, უსინათლოთა საზოგადოებიდან საკუთარი თვალებით არ დაუნახავს, რომ სხვა საწარმოთა დირექტორები მსუბუქი ავტომანქანით დადიან, განა არ გაუგონია, რომ სახლში მანქანით უნდა წაბრძანდეს, ანდა ცოლის მიერ ბაზარზე ნავაჭრი პროდუქტები შინ მანქანით მიიტანოს. ამის სურვილი ბევრჯერ აღძვრია ზეთსახდელი და საპნის სახარში ქარხნის დირექტორს. ერთი სიტყვით, სათვალავით არ ვიცი მერამდენე, მაგრამ ოცნება მაინც ჰქონდა დირექტორს, ოცნება მსუბუქი ავტომანქანის შეძენისა.

— ივან ვასილიჩ! (ასე ეძახიან ბაქრაძეს) კი, მაგრამ მთავარი ფულია, სადა გვაქვს ფული? — შეეკითხა გაოცებული მთავარი ბუხალტერი ვ. ედიბერიძე დირექტორის მოადგილის ბ. გოცირიძის თანდასწრებით დირექტორს, როცა ამ უკანასკნელმა თავისი ოცნება თავის მეგობარს გაანდო.

— საქმეც ეგ არის, — მიუგო დირექტორმა და გამწარებულმა საფერფლეში პაპიროსის ძორივი ნამწვი ჩააგდო.

— ბამბის კურკა მაინც კურკაა, იქიდან აბა რა იმდენი უნდა გამოხადო, რომ ჩვენც რამე დავგრიხეს და მსუბუქი მანქანის ყიდვაც შევძლოთ, — დაიწყო ახლა ბ. გოცირიძემ და პასუხის შოლოდინში გაინაბა.

დირექტორმა ამჯერად მას არაფერი მიუგო და მხოლოდ ღიმილით დააჯილდოვა. ეს ღიმილი ჯერ არ დამცხრალიყო, რომ ი. ბაქრაძემ ახალი აზრის გამოთქმა დაიწყო.

— სამივემ სამ-სამი ათასი მანეთი ვისესხოთ ურთიერთდამხმარე სალაროდან და მანქანაც ერთად ვიყიდოთ.

ზეთსახდელი და საპნის სახარში ქარხნის თანამშრომლებს დირექტორის ამაზე მეტი ინიციატივა და ახალი აზრი არ ახსოვთ. ეს აზრი საპნის ბუჭტივით კი არ გამქრალა, არამედ მან ხორცი შეისხა, ძალაში შევიდა.

კიდევ გამოიტანეს ურთიერთდამხმარე სალაროდან 9.000 მანეთი განუსაზღვრელი ვადით და მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვირი“ შეიძინეს. ნათქვამია, თავლი იყოს, თორემ ბუზი ყოველთვის გაჩნდებაო, — მანქანის მართვა ზეინკალ ვ. ხარბელიას შეუთავსეს და ხელფასიც ქარხნის ბიუჯეტიდან დაუნიშნეს.

წელიწადზე მეტი არხეინად ისეირნეს. ისე რომ არც კი გახსენებიათ ურთიერთდამხმარე სალაროს ვალი დაეფარათ. ამ საქმეში მათ ხელს უწყობდნენ უსინათლოთა საზოგადოების ხელმძღვანელებიც. ისინი ამბობდნენ: რა ჩვენი საქმეა, ვითომ არ დაგვინახავსო.

საქმე წინ მიდიოდა, საპონი იხარშებოდა, ბამბის კურკაც ძველებურად ზეთს იძლეოდა. „მოსკვირიც“ გამართულად მუშაობდა... მარტო ის რად ღირდა, მანქანა რომ ქარხნის წინ გაჩერდებოდა და დირექტორი ამაყად გამოვიდოდა იქიდან. კაბინეტისაკენ მტკიცე ნაბიჯით გაემართებოდა და რიხიანად გასცემდა განკარგულებას. თითქოს ახლა მის ხმას მეტი დამაჯერებლობა ეტყობოდა.

მაგრამ უსინათლოთა საზოგადოების თანამშრომლები არც ისეთი უსინათლონი აღმოჩნდნენ, რომ უკანონობა ვერ შეემჩნიათ.

საპნის ქარხნის ურთიერთდამხმარე სალაროდან გატანილ თანხას სამუდამოდ დაემშვიდობენ და გულიც ძველი ანდაზით დაიმშვიდეს: გასაპნულმა ხელმა ხელი დაბანა და ორთავემ კი პიროო.

ს. არღუნიანი

გული რომ გულობდეს



ეს ამბავი დიდი ხმაურით დაიწყო და უცნაური სიჩუმით დამთავრდა.

ამა წლის მაისში, გულრიფშის რაიონის დრანდის რკინიგზის სადგურის მალაზის გამგე-გამყიდველი სამუშაოზე მოგვიანებით გამოცხადდა. მალაზის წინ მომხმარებელთა რიგი იდგა, პურის საყიდლად მისულ ადამიანთა ცოცხალი რიგი. გამგე-გამყიდველს ხინტბას უსაყვედურეს:

— სადა ხარ აქამდე, ბიჭო, ვალოდია, დავიხოცენით მშვივრები!

— როგორ, მთელი ქვეყანა ჩემი სარჩენია, თუ?! — აპილპილდა ხინტბა. აპილპილდა და სარკმელი ისე მონდომებით მიაჯახუნა, რომ მინა ნამსხვრევებად იქცა.

„დამსხვრევა ასე არ უნდაო“, იკივლა ვალოდია ხინტბამ და შეშინებულ, გაქცეულ მომხმარებლებს გამოენთო. ერთი ყველას ხომ ვერ წამოეწეოდა, ერთს წასწვდა საყელოში, წამოაქცია და წიხლებით ისე ლაზაოიანად დაზილა, მექისისგ შეშურდებოდა.

ამ სპორტული ინციდენტის შემდეგ გულრიფშის რაიგაზეთის „ლენინელის“ რედაქციამ შეამოწმა ვლადიმერ ხინტბას „მოღვაწეობა“ და აღმოჩნდა, რომ გამგე-გამყიდველი საკმაოდ ნამუსგაყიდულია: ხშირად „ავიწყდება“ მომხმარებლისათვის ხურდის დაბრუნება, რუხ ფქვილს თეთრის ფასად ასალებს და

ყველაფერს ისე აკეთებს, რომ დახლში კი არამედ უნდა იჯდეს... სულ სხვა ადგილას.

„ლენინელის“ რედაქციამ ა. წ. 25 ივნისის ნომერში მოათავსა ფელეტონი: „აბა თუ მიცნობთ“, ხოლო მასალები ხინტბას დევგმირობის შესახებ ზომების მისაღებად გადაუგზავნა რაიპროკურატურას. რაიპროკურატურამ გადაათვალიერა და რაკი მისი „საზომი“ დრანდის სადგურს ტერიტორიულად ვერ მისწვდა, ხინტბას მიმართ ზომების მიღება რკინიგზის სუბუემის სახაზო პროკურატურას შესთავაზა.


სახაზო პროკურატურამ არ ვიცით რა ხაზით ამოსდო მაუდის ქვეშ ვლადიმერ ხინტბას საქმე, გამგე-გამყიდველი ახლაც თავის ადგილზეა და მუშტი მარჯვედ უჭირავს.

მაგრამ საქმე ხინტბას საქმეში არ გახლავთ, საქმე იმაშია, რომ გულრიფშელები საკუთარი გაზეთის ხმას ყურადღებას არ აქცევენ, ფიქრობენ გულრიფშის რაიონის იქით არავის მიწვდებაო და ყურს არ იბარტყუნებენ...

ესმის რა „ლენინელის“ სამართლიანი ჩივილი, ნიანგი თავის მხრივ თავისი ხაზით სუბუემის სახაზო პროკურატურას მიმართავს: ვის მიანდეთ ხინტბას საქმე, ამხანაგებო? ჩვენ დარწმუნებული არა ვართ, მაგრამ ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, გული რომ გულობდეს და ფული არ ფულობდეს, გულირთველ-დრანდელები ხინტბას როგორმე მოერეოდნენ.

სური მუშაობის ბეჭედი

ნახ. დონისა



ამ ქალაქის პარკს არტელის ბეჭედი აზის.

გზადაგზა გაახარა კიდევ, დიდი და პატარა...

შინ კი ბავშვებს გამორღვეული პარკი-ლა შერჩათ საჩუქრად.

ბავშვების მოყვარულმა მამამ იფიქრა ხილით ავაგებ და შინ პატარებს გავახარებო...

ქალაქის პარკს, როგორც ხედავთ, არტელის ცული მუშაობის ბეჭედი აზის.

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა შ ვ. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1953 წ. 21/XI. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შვკ. № 2305 გამოც. № 21 ტირ. 15.000 უფ 13768.

მშვიდობისათვის

—როცა ბომბდამშენები მუშაობენ, — გუთხანს მუშაობა აღარ შეუძლია! —
თქვა ერთმა ფრანგმა მშრომელმა, — ამიტომ საჭიროა გუთნებმა იმუშაონ
(გადახნან აეროდრომები), რომ ბომბდამშენებმა ვეღარ იმუშაონ! — ამბობს
მშვიდობისათვის ყველა მებრძოლი.

სამხედრო მანქანა
N 764/US

ნან. გ. ლომიძე

